საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში
უმაღლესი ლიგა

6 ივლისს გაიმართა სსრ კავშირის 52-ე საფეხბურთო ჩემპიონატის XVI ტურის შეხვედრები.

„მეტალისტი" (ხარკოვი) – „დინამო" (თბილისი) 2:1 (1:0).

ხარკოვი. „მეტალისტის" სტადიონი. 6. ივლისი.

„მეტალისტი": კუტეპოვი, კოლოკოლოვი, შჩერბაკი, იალოვსკი, ანიშჩინი, რალუჩენკო (იავნოვი, --6), აჯოევი, სუსლოვი, იაკუბოვსკი, ტარასოვი, ბარანოვი (მენშიკოვი, ---).

„დინამო": გაბელია, ჩიქოვანი, ცხადაძე, ჭედია, ჯიშკარიანი, თეთრაძე, (აფციაური, 50), სვანაძე, ცვეიბა, ქეცბაია (ყიზილაშვილი, ---), კაჭარავა, გოგიჩაიშვილი.

მსაჯი ა. სპირინი (მოსკოვი).

მოთამაშეთა მთელი რიგი ავადმყოფობისა და ტრავმების გამო დინამოელებს შესუსტებული შემადგენლობით უხდებათ მინდორზე გამოსვლა და, რიგ შემთხვევაში, სათადარიგო შემცველ მოთამაშეთა სრული კომპლექტიც კი არ ჰყავთ, კერძოდ, ასე იყო „მეტალისტთან" განვლილი ტურის შეხვედრაში.

თამაშის პირველ ნახევარში მასპინძლებს გარკვეული უპირატესობა ჰქონდათ, დინამოელთა დაცვითი ხაზები სრული დატვირთვით მუშაობდნენ, უმთავრესად იშვიათი კონტრშეტევებით და შორი დარტყმებით პასუხობდნენ მეტოქეს.

ტაიმი დასასრულს უახლოვდებოდა, ანგარიში კი არ ჩანდა. 37-ე წუთზე თბილისელთა საჯარიმო მოედანზე სუსლოს წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის დაინიშნა 11-მეტრიანი, დარტყმა ზუსტად შეასრულა აჯოევმა – 1:0.

შესვენების შემდეგ, როგორც კი განახლდა თამაში, ხარკოველმა ფეხბურთელებმა ასეთივე ილეთი გაიმეორეს ქეცბაიას წინააღმდეგ, და ა. სპირინმა მეორე 11-მეტრიანი დანიშნა, ამჯერად „მეტალისტის" კარში. გოგიჩაიშვილმა ასევე ზუსტად დაარტყა მიზანში – 1:1.

შემდეგ თამაში ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა, ორივე გუნდის ფეხბურთელები ხშირად ცდებოდნენ, კარგავდნენ ბურთს, თუმცა, სახიფათო მომენტები მაინც იქმნებოდა. კერძოდ, კუტეპოვმა გაჭირვებით მოიგერია სვანაძის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი, მერე კი გაბელიამ რამდენიმეჯერ გადაარჩინა თავისი გუნდი აშკარა გოლს.

შეხვედრის ბედი გადაწყდა 81-ე წუთზე. ხარკოველთა ერთ-ერთი იერიშისას იაკუბოვსკიმ გადააწოდა აჯოევს, ეს უკანასკნელი კი ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა და გადამწყვეტი გოლიც გაიტანა – 2:1.

დინამოელები მატჩის დასასრულს ბევრს უტევდნენ, მაგრამ ანგარიშის გათანაბრება ვერ შეძლეს. გამარჯვება ხარკოველ ფეხბურთელებს დარჩათ.

"ლელო" 8 მაისი, 1989 წ.